ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 62

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 07.12.2019

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანების №№13 ”გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ ა(ა)იპ **თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი “ბიგ-ბენდი” დირექტორის კახი მარკოზაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ შპს **“ბესთ ლაინ**” 401967975 (შემდგომში „მიმწოდებელი”) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ასლების გასამრავლებელი მოწყობილობა Canon Multifunctional I-SENSYS MF643Cdw (cpv-30121400) 1ც -1170.00 ლ -** შეძენა**;**

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1” ქვეპუნქტი შესაბამისად. 5000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვაის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს **1170.00** (ერთიათასასსამოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი. საქონლის მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღე

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი საგარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია

07.12.2019 – 23.01.2020

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ თბილისის მერიის	შპს “ბესთ ლაინ”
საკონცერტო ორკესტრი “ბიგ-ბენდი”	მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის 7
მის: აღმაშენებლის გამზ №73	ს/კ: 401967975
ს/კ 202064942	ბანკი: სს “თიბისი ბანკი”
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკის კოდი: TBCBGE22
ბ/კ TRESGE22	ა/ა GE26TB7936736020100001

დირექტორი
კახი მარკოზაშვილი

Tbilisi City Hall Orchestra Big - Band

Подписано цифровой подписью: Tbilisi City Hall Orchestra Big - Band
Дата: 2019.12.07 10:14:10 +04'00'